



ონლაინ მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგი

18 სექტემბერი - 26 ოქტომბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) აგრძელებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2013 წლის 15 ივნისიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე და მოიცავს საინფორმაციო პორტალის ტიპის 12 ყველაზე რეიტინგულ ქართულ ვებგვერდს: netgazeti.ge, droni.ge, politico.ge (*18 სექტემბრამდე*), liberali.ge, news.ge, presa.ge, civil.ge, tabula.ge, garbonline.tv, for.ge, dfwatch.net, palitrav.ge, pirveliradio.ge (*18 სექტემბრიდან*). მოცემული ანგარიში მოიცავს მედიამონიტორინგის შედეგებს 18 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.


ონლაინ მედიის მონიტორინგის უახლეს პერიოდში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ონლაინ მედია, მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, გაცილებით აქტიურად აშუქებს საპრეზიდენტო კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიას.
- ვებგვერდების უმეტესობა მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს საპრეზიდენტო კანდიდატთა საქმიანობას.
- ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები კვლავაც სისტემატურად ირღვევა ვებგვერდებზე presa.ge, droni.ge და for.ge.
- ინგლისურენოვან ვებგვერდებზე dfwatch.net და civil.ge (*civil.ge სტატიებს აქვეყნებს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ და რუსულ ენებზე*) მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაიზარდა ვრცელი, ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობა.
- მონიტორინგის უკანასკნელ პერიოდშიც ონლაინ მედიის მთავარ გამოწვევად რჩება საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომა, კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა და ცალკეულ სტატიებში ინფორმაციის წყაროთა სიმცირე.

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში netgazeti.ge-ზე შედარებით იმატა საპრეზიდენტო კანდიდატთა გაშუქების სიხშირემ. როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, ასევე მოცემულ პერიოდშიც, ვებგვერდი გამოირჩევა საკმაოდ კრიტიკული შინაარსის სტატიებით. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების მიმართ კრიტიკული მიდგომის მიუხედავად ვებგვერდი ახერხებს შესაბამისი ბალანსის დაცვას პოლიტიკურ ძალებს შორის და საერთო ჯამში, საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. მაღალ დონეზეა დაცული ინფორმაციის წყაროთა ბალანსი და ცალკეულ სტატიებში ხშირად ვხვდებით განსხვავებულ და საპირისპირო მოსაზრებებს.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (30%), პრეზიდენტისა (14%) და პრემიერმინისტრის (14%) საქმიანობა გაშუქდა. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილი (7%), ნინო ბურჯანაძე (5%) და გიორგი თარგამაძე (2%) გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები რომელიმე სუბიექტის მიმართ ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა.


მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდი გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული გაშუქებითა და საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომით.



მონიტორინგის მეოთხე პერიოდში droni.ge-ზე კვლავ ნათლად შეიმჩნევა, ერთი მხრივ, დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერმინისტრის, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის მიმართ. ვებგვერდზე ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (28%), მთავრობისა (26%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (18%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები პრემიერმინისტრისა (63%) და მთავრობის (40%) გაშუქებისას. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად ნინო ბურჯანაძის (7%) საქმიანობა გაშუქდა, საკმაოდ მაღალია მისი გაშუქების უარყოფითი ტონის პროცენტული მაჩვენებელიც (56%). ასევე, აღსანიშნავია უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის (61%) გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ droni.ge საკმაოდ მიკერძოებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას. ვებგვერდზე საკმაოდ ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ცალკეულ სტატიებში არ არის დაცული ინფორმაციის წყაროთა ბალანსი. ვებგვერდზე ნათლად შეიმჩნევა კოალიცია „ქართული ოცნების“ და მათი საპრეზიდენტო კანდიდატის დისკრედიტაციის მცდელობა.




(ვებგვერდის მონიტორინგი ხორციელდება 2013 წლის 18 სექტემბრიდან)

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში pirveliradio.ge საკმაოდ აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ვებგვერდზე ძირითადად მოკლე, საინფორმაციო სტილის სტატიები ქვეყნდება. ვებგვერდი საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს როგორც საპრეზიდენტო კანდიდატთა, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა საქმიანობას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში pirveliradio.ge-ზე არ დაფიქსირებულა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. ცალკეულ სტატიებში იშვიათად არის წარმოდგენილი სხვადასხვა საპირისპირო პოზიცია, თუმცა, რომელიმე სუბიექტის მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდების შემთხვევაში ვებგვერდზე მეორე მხარის პოზიცია წარმოდგენილია მომდევნო სტატიებში, დღის განმავლობაში.

მონიტორინგის სუბიექტთა შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (25%), პრეზიდენტისა (16%) და პრემიერმინისტრის (14%) საქმიანობა გაშუქდა. უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაცვენებლები რომელიც მუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილი (10%), ნინო ბურჯანაძე (9%) და დავით ბაქრაძე (3%) გაშუქდა. საპრეზიდენტო კანდიდატთა გაშუქებისას საკმაოდ მაღალია დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები, რაც განპირობებულია იმით, რომ ვებგვერდი აქტიურად აშუქებს კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრებს, მათ დაპირებებს და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ pirveliradio.ge საკმაოდ აქტიურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა რაიმე სახის მიკერძოებულობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, ვებგვერდის მუშაობის სტილიდან გამომდინარე, ცალკეულ სტატიებში არ გვხვდება ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული ანალიზი.




liberali.ge

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში, ისევე, როგორც წინა პერიოდებში, liberali.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად მთავრობისა (44%) და პრემიერმინისტრის (29%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა კოალიცია „ქართული ოცნების“ (51%) და პრემიერმინისტრის (44%) გაშუქებისას, ხოლო დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პრეზიდენტის (34%) საქმიანობის გაშუქებისას. უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი და უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა და არა ჟურნალისტთა მხრიდან.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შედარებით იკლო საპრეზიდენტო კანდიდატთა გაშუქების სიხშირემ. ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილისა (4%) და ნინო ბურჯანაძის (3%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა რაიმე სახის მიკერძოებულობა რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ liberali.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.




news.ge

მონიტორინგის პერიოდში news.ge-ზე შედარებით იმატა საპრეზიდენტო კანდიდატთა გაშუქების სიხშირემ. როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, ასევე მოცემულ პერიოდშიც ვებგვერდმა გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (25%), პრემიერმინისტრისა (17%) და პრეზიდენტის (12%) საქმიანობა გაშუქდა. განსაკუთრებულად მაღალი დადებითი ან უარყოფითი ტონის მაჩვენებლები რომელიმე სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა.

საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილის (9%), ნინო ბურჯანაძის (6%), გიორგი თარგამაძისა (4%) და დავით ბაქრაძის (3%) საქმიანობა გაშუქდა. უნდა აღინიშნოს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატთა გაშუქებისას საკმაოდ მაღალია დადებითი ტონის მაჩვენებლები, რაც განაპირობა იმან, რომ ვებგვერდი აქტიურად აშუქებს კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრებს და შესაბამისად, საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა კანდიდატთა წინასაარჩევნო დაპირებებსაც.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ news.ge მეტ-ნაკლებად მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ვებგვერდი საკმაოდ აქტიურად მუშაობს და ცდილობს გააშუქოს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. თუმცა, ცალკეულ სტატიებში იშვიათად არის დაცული ინფორმაციის წყაროთა ბალანსი. სტატიების უმეტესობა ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მზადდება.



presa.ge


მონიტორინგის მეოთხე პერიოდში, ისევე, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, presa.ge-ს სტატიებში სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ცალკეულ სტატიებში იშვიათად არის დაცული წყაროთა ბალანსი; ინფორმაცია ხშირად გადაუმოწმებელია და ინფორმაციის წყარო უცნობი. ასევე, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს. ჟურნალისტთა მხრიდან ხშირად გამოიყენება შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია; ძირითადად მთავრობის, პრემიერმინისტრისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრების მიმართ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (34%), მთავრობისა (18%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (18%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები კოალიცია „ქართული ოცნების“ (79%), მთავრობისა (70%) და პრემიერმინისტრის (61%) გაშუქებისას. მეორე მხრივ კი დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები პრეზიდენტისა (28%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (27%) გაშუქებისას. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილისა (5%) და ნინო ბურჯანაძის (4%) საქმიანობა გაშუქდა. გიორგი მარგველაშვილის საქმიანობა 65 პროცენტი უარყოფით ტონში, ხოლო ნინო ბურჯანაძისა კი 84 პროცენტი უარყოფით ტონში გაშუქდა.

ვებგვერდზე პრაქტიკულად ყველა სტატია კრიტიკულია სახელისუფლებო ძალების მიმართ. ხშირია მთავრობის, პრემიერმინისტრისა თუ „ქართული ოცნების“ მიმართ სტატიების უარყოფითი სათაურებიც (მაგალითად, „ოცნების ერთი წელი და საპნის ბუმტივით გამჭრალი

დაპირეზები“, 1 ოქტომბერი; „ზვიგენები პრემიერის სასახლეში და ოცნებაგაბილწებული ხალხი“, 23 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ presa.ge უკიდურესად დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე ცხადად შეიმჩნევა მმართველი ძალის საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილისა და საქართველოს პრემიერმინისტრის დისკრედიტაციის მცდელობა. სისტემატურად ირღვევა პრაქტიკულად ყველა ჟურნალისტური სტანდარტი.



civil.ge


მონიტორინგის მეოთხე პერიოდში civil.ge-ზე შედარებით იმატა საპრეზიდენტო კანდიდატთა, კერძოდ, გიორგი მარგველაშვილის (10%), დავით ბაქრაძისა (6%) და ნინო ბურჯანაძის (4%) გაშუქების სიხშირემ. ისევე როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, მოცემულ პერიოდშიც ვებგვერდზე არ შეიმჩნეოდა რაიმე სახის მიკერძოებულობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე იმატა ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობამ. უნდა აღინიშნოს, რომ სტატიები მომზადებულია ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით და რაიმე განსაკუთრებულად უხეში დარღვევები მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის სუბიექტთა შორის ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (23%), მთავრობის (17%), პრეზიდენტისა (12%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (12%) საქმიანობა შუქდება. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა დადებითი

ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. დაცულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შედარებით გაიზარდა ვრცელი, ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობა.




tabula.ge

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში, ისევე, როგორც წინა პერიოდებში, tabula.ge საკმაოდ აქტიურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდი გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებითა და საკითხების მიმართ კრიტიკული მიდგომით. ვებგვერდზე მეტ-ნაკლებად დაცულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, თუმცა, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად tabula.ge-ზე შეიმჩნევა შედარებით ნაკლებად კრიტიკული განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ და მეორე მხრივ, საკმაოდ კრიტიკული განწყობა მთავრობისა და პრემიერმინისტრის მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ tabula.ge არ არის ცალსახად მიკერძოებული და ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცალკეული სტატიები უმეტეს შემთხვევებში ჟურნალისტური სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით არის მომზადებული.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (26%), პრემიერმინისტრისა (21%) და „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობა გაშუქდა. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილი (7%), დავით ბაქრაძე (5%), ნინო ბურჯანაძე (3%) და გიორგი თარგამაძე (3%) გაშუქდა. უნდა აღინიშნოს, რომ

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები რომელიმე სუბიექტის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge საკმაოდ აქტიურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესს. ცალკეულ სტატიებში, უმეტეს შემთხვევებში, დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები. თვისებრივი დაკვირვების შედეგად ვებგვერდზე შეიმჩნევა შედარებით დადებითი განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, თუმცა, საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ვებგვერდი ცდილობს დაიცვას ჟურნალისტური სტანდარტები და ხშირ შემთხვევებში ახერხებს მკითხველისთვის დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. ასევე, ვებგვერდი გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებითა და საკითხების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით.




garbonline.tv

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში garbonline.tv-ზე შედარებით გახშირდა საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქება. ისევე როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, მოცემულ პერიოდშიც ვებგვერდი საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს საპრეზიდენტო კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობას; არ შეიმჩნევა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, მონიტორინგის მოცემულ პერიოდშიც ვებგვერდზე შეიმჩნევა მასალების სიმცირე და შესაბამისად, ის სრულფასოვნად ვერ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (30%), პრემიერმინისტრისა (14%) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (11%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (36%) გაშუქებისას, რაც გამოწვეულია ცესკოს მიერ დამატებითი უბნების გახსნის, შშმ პირთათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების გამარტივებისა და მსგავსი საკითხების ინტენსიური გაშუქებით.

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად დავით ბაქრაძის (7%), გიორგი მარგველაშვილის (4%), მიხეილ (გელა) სალუაშვილისა (3%) და ნინო ბურჯანაძის (2%) საქმიანობა გაშუქდა. განსაკუთრებულად მაღალი დადებითი ან უარყოფითი ტონის მაჩვენებლები რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის გაშუქებისას ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ garbonline.tv საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, ვებგვერდზე კვლავ შეიმჩნევა მასალათა სიმცირე.



for.ge

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში, ისევე, როგორც წინა პერიოდებში, for.ge-ზე ნათლად შეიმჩნევა უკიდურესად უარყოფითი განწყობა პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უაღრესად კრიტიკულად განწყობილ რესპონდენტთა ინტერვიუების


სიხშირე და ასევე თავად ვებგვერდის ჟურნალისტთა მიერ ხშირად გამოყენებული საკმაოდ შეურაცხყოფელი განცხადებები ხსენებული სუბიექტების მიმართ. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, ასევე, შეგვხვდა რამდენიმე სტატია თანდართული ფოტოსურათით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ საკმაოდ შეურაცხყოფელ ელემენტებს შეიცავდა (მაგალითად, სტატიებში: „სააკაშვილი ობამას შემთხვევით შეხვდა“, 27 სექტემბერი; „უმცირესობა პრეზიდენტით აღფრთოვანდა, უმრავლესობას „კოჭლმა იხვმა“ თავი ვერ მოაწონა“, 26 სექტემბერი).

ვებგვერდზე საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონის მაჩვენებლები დაფიქსირდა პრეზიდენტისა (67%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (47%) საქმიანობის გაშუქებისას. ასევე, უარყოფითი ტონის პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია დავით ბაქრაძის (54%) გაშუქებისას.

ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიებში იშვიათადაა დაცული წყაროთა ბალანსი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად ვებგვერდი საკმაოდ ხშირად მიმართავს ერთსა და იმავე ექსპერტებს, რომლებიც პრაქტიკულად ნებისმიერ თემაზე საუბრისას აკრიტიკებენ პრეზიდენტსა და „ნაციონალურ მოძრაობას“.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდშიც განსაკუთრებული ინტენსივობით შუქდებოდა თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრ ირაკლი ალასანიას საქმიანობა. ვებგვერდზე მსგავსი ინტერესი არ შეიმჩნევა არცერთი სხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ for.ge საკმაოდ დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.




მონიტორინგის მეოთხე პერიოდში ვებგვერდზე შედარებით იმატა ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობამ. ისევე როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, მოცემულ პერიოდშიც dfwatch.net საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა პოლიტიკოსთა თუ სხვადასხვა სახელწიფო უწყებათა საქმიანობას. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ვებგვერდზე შუქდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებები.

მონიტორინგის სუბიექტთა შორის ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (23%), მთავრობისა (22%) და პრეზიდენტის (17%) საქმიანობა გაშუქდა. საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის ყველაზე ინტენსიურად ნინო ბურჯანაძის (5%), გიორგი მარგველაშვილის (4%), დავით ბაქრაძისა (3%) და შალვა ნათელაშვილის (3%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე სუბიექტის მიმართ.

ვებგვერდზე ნაკლებად შუქდება საპრეზიდენტო კანდიდატთა ყოველდღიური შეხვედრები, თუმცა, მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც თავმოყრილი იყო ინფორმაცია კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობის შესახებ (მაგალითად, “Georgian candidates on the campaign trail”, 10 ოქტომბერი). ასევე, აღსანიშნავია საპრეზიდენტო კანდიდატთა ტელედებატების საკმაოდ ვრცლად და სიღრმისეულად გაშუქება (მაგალითად, Georgian candidates confront each other in two TV debates, 19 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს; დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ცალკეულ სტატიებში მაღალ დონეზეა დაცული ინფორმაციის წყაროთა ბალანსი. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შედარებით იმატა ვრცელი, ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობამ.




palitratv.ge

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში palitratv.ge-ზე შედარებით იმატა საპრეზიდენტო კანდიდატა გაშუქების სიხშირემ. როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, ასევე მოცემულ პერიოდშიც, ვებგვერდზე თითქმის საერთოდ არ გვხვდება ორიგინალური, რედაქციის მიერ შექმნილი სიუჟეტები. შესაბამისად, palitratv.ge-ზე თითქმის არ გვხვდება ჟურნალისტთა ტექსტები, რის გამოც ვებგვერდზე საკმაოდ დაბალია ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებლები. მიუხედავად სხვადასხვა სუბიექტის მიმართ დაფიქსირებული დადებითი და უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლებისა, საერთო ჯამში ვებგვერდზე არ შეიმჩნევა რაიმე სახის მიკერძოებულობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად პრეზიდენტის (29%), პრემიერმინისტრისა (27%) და მთავრობის (15%) საქმიანობა გაშუქდა. საპრეზიდენტო კანდიდატა შორის ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილი (7%), ნინო ბურჯანაძე (3%) და დავით ბაქრაძე (2%) გაშუქდა. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ palitratv.ge მეტ-ნაკლებად იცავს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს, თუმცა, ვებგვერდზე ვხვდებით განთავსებულ ვიდეომასალებს, რომლებშიც არაეთიკური ლექსიკა შეუზღუდავად არის დაშვებული.



დასკვნა

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ გახშირდა საპრეზიდენტო კანდიდატთა საქმიანობის გაშუქება. ვებგვერდების უმეტესობა მათ საქმიანობას მეტ-ნაკლებად მიუკერძოებლად აშუქებს. გამონაკლისს წარმოადგენს ვებგვერდები droni.ge და presa.ge, რომლებზეც ცხადად შეიმჩნევა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის დისკრედიტაციის მცდელობა.

მოვლენების ცალმხრივი გაშუქებით გამოირჩევა for.ge-ც, რომელიც ღიად გამოხატავს რედაქციის კრიტიკულ განწყობას პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე საგრძნობლად გაიზარდა „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის კრიტიკაც.

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში ანალიტიკური სტატიების რაოდენობამ იმატა ვებგვერდებზე civil.ge და dfwatch.net.

ჟურნალისტთა მხრიდან დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები ხშირად გვხვდება ვებგვერდებზე presa.ge, და for.ge. მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით გახშირებულია ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე droni.ge.

ონლაინ მედიის ძირითად პრობლემებს შორის კვლავ რჩება საკითხების ზედაპირული გაშუქება, კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა და ცალკეულ სტატიებში ინფორმაციის წყაროთა სიმცირე.